ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

KA000057218012617

5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა
info.gamgeoba@gmail.com

№ 461-ს

31 / მარტი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო კონკურსის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის“, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 31-ე მუხლების, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის #412 დადგენილებისა და ,,ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გამგეობის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს #23 დადგენილების შესაბამისად ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით www.hr.gov.ge
2. ეთხოვოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად.
3. განისაზღვროს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის წესით შესავსები თანამდებობა, დანართის თანახმად.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

გამგებელი

დათო გოგუა

დანართი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კონკურსის წესით
შესავსები ვაკანტური თანამდებობა

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსიის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	**ადმინისტრაციული სამსახური**		
ა)	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების სპეციალისტი	1	470